h da
HOCHSCHULE DARMSTADT
UNIVERSITY OF APPLIED SCIENCES

**გაცვლითი პროგრამა დარმსტადის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს დარმსტადის უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 4 სტუდენტის შესარჩევად.

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი პროფილის <u>საბაკალავრო და სამაგისტრო</u> პროგრამების სტუდენტებს.**

**<u>შენიშვნა:</u>** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გაცვლაში მონაწილეობის მიღების მსურველ ბაკალავრიატის სტუდენტს დასრულებეული უნდა ჰქონდეს სწავლის ორი წელი, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტს ერთი სემესტრი;

**კრედიტების აღიარება:** დარმსტადის უნივერსიტეტში აღებული კრედიტების აღიარება მოხდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

**<u>შენიშვნა:</u>** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში სასურველი საგნების შესარჩევად სტუდენტებმა წინასწარი კონსულტაცია უნდა გაიარონ GIPA-ს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

**გერმანიაში სწავლის ხანგრძლივობა:**
ერთი სემესტრი (2021 წლის გაზაფხულის სემესტრი: აპრილი - აგვისტო, 2021)

**ინგლისურენოვანი საგნების (წინასწარი) ჩამონათვალი იხილეთ ბმულში.**

**Factsheet:**

სასწავლო განრიგის, ჰანოვერში ცხოვრების და ბინის დაქირავების საფასურთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულში.

**სწავლის საფასური:**

დარმსტადის უნივერსიტეტთან გაფორმებული პარტნიორობის ფარგლებში, GIPA-ს სტუდენტებს არ მოუწევთ სწავლის საფასურის გადახდა. თუმცაღა, შერჩეულმა სტუდენტებმა უნდა დაფარონ GIPA-ში  მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური.

შენიშვნა: შერჩეულმა სტუდენტებმა თავად უნდა დაფარონ საერთაშორისო მგზავრობის, ცხოვრების, სავიზო მოსაკრებლისა და დაზღვევის ხარჯები!

**საკონკურსო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:**

- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა);
- ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე, GPA-ის მითითებით);

დაინტერესებულმა სტუდენტებმა **ა/წ 28 სექტემბრის 16 საათამდე** უნდა გამოაგზავნონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი  შემდეგ ელ-ფოსტაზე: n.bakradze@gipa.ge

**სტუდენტთა შესარჩევი პროცესი:**

- დოკუმენტაციის შემოწმება;
- გასაუბრება აპლიკანტთან ინგლისურ ენაზე;

შერჩევის კრიტერიუმები: 4 აპლიკანტი გამოვლინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მაღალი GPA
- ინგლისურ ენის ცოდნის მაღალი დონე
- აპლიკანტის მოტივირება

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით  ელ-ფოსტის საშუალებით: n.bakradze@gipa.ge ან მითითებულ ნომერზე: 577 57 75 11

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!